სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

31.03.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

„SAINT-GOBAIN PAM“ ვიზიტი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში

31 მარტს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გასაცნობად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ფრანგული სამრეწველო ჯგუფის „SAINT-GOBAIN PAM”-ის წარმომადგენელი ბატონი მარკ ზერლოთი ეწვია. შეხვედრა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ინიციატივით ჩატარდა.

ბატონ მარკ ზერლოთს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე კახა დემეტრაშვილი, იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი სოფიკო ბერიშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი მანანა შურღულაია შეხვდნენ.

სააგენტოს თანამშრომლებმა სტუმარს გააცნეს თუ როგორ ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში და რა სასარგებლო ინფორმაცია შეუძლია მიიღოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემიდან, როგორც მომხარებელმა.

ბატონი ზერლოთის თქმით, კომპანია დაინტერესებულია წარმოადგინოს საკუთარი პროდუქცია საქართველოში და გეგმავს წარმომადგენლობის გახსნას.

სამრეწველო ჯგუფი „SAINT-GOBAIN PAM ” შეიმუშავებს, აწარმოებს და ყიდის სასმელი წყლისა და დრენაჟის სისტემებისათვის განკუთვნილ მოქნილ რკინის მილებსა და მოწყობილობებს. კომპანია ასევე აწარმოებს ჰიდროელექტროსადგურების შლუზებს/მილსადენებს.